ხელშეკრულება №06/11

ქ.ონი 29 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი), მდებარე ქ. ონში დავით აღმაშენებლის მოედანი №1, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის მერაბ ორდინიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ „ „ „

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გაცდენის
შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტი. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ აღმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

12.2 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

12.3. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი მონაცემები აღმოჩნდება ყალბი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაო.

13.ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების
შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი
გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14.სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტენპრეტირებული იქნება საქართველოს კანონების მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 მიწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

რეკვიზიტები

დამკვეთი:
ონის მუნიციპალიტეტი:

/მერაბ ორდინიძე/

ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1
ტელ.: 599 538894

ს/კ №237978275
ანგ №GE24NB0330100165022
სახელმწიფო ხაზინა ბ.კ. TRESGE22

შემსრულებელი:

ი/მ "ნოდარ ჯაფარიძე":

/ნოდარ ჯაფარიძე/

ონი, სოფ. ღარი
ტელ.: 511 118049

ს/კ 34001002162
ანგ. №GE45BG0000000308304800
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ბ.კ. BAGAGE22

ვამტკიცებ: ონის მუნიციპალიტეტის გამგეობლის მოვალეობის შემსრულებელი ზ. ორდინიძე

ქალაქის გამწვანების ზოლში არსებული ზეხმელიდა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხეების მოჭრა დამუშავება

ხარჯთაღრიცხვა

2016 წელი

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ.ფასი	სულ	ერთ.ფას	სულ	ერთ.ფას	სულ	
1	ზეხმელი ხის ზემდგარ მდგომარეობაში დამუშავება	$მ^3$	12	2	24	25	300	0	0	324
2	ზეხმელი ხეების მოჭრა-დამუშავება	$მ^3$	70	2	140	17.4	1218	0	0	1358
	ჯამი				164		1518		0	1682
	ზედნადები ხარჯი	10%								168.2
	ჯამი									1850.2
	გეგმიური დაგროვება	8%								148.0
	ჯამი									1998.2

შეადგინა: არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; გ. ბენდიანიშვილი